საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/63

ქ. ბათუმი 04 აპრილი, 2023 წ.

,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიულ მზადების) სარეზიდენტო პროგრამებზე, სპეციალიზაციის კურსის და გადამზადების პროგრამაზე მიღების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 24 მარტის N01-02/56 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,სტომატოლოგიის" დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის 2023 წლის 30 მარტის N358739 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიულ მზადების) სარეზიდენტო პროგრამებზე, სპეციალიზაციის კურსის და გადამზადების პროგრამაზე მიღების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 24 მარტის N 01-02/56 ბრძანების **მე-2 პუნქტში შევიდეს ცვლილება,** კერძოდ, ნაცვლად ,,2023 წლის 27 მარტიდან 31 მარტის ჩათვლით" მიეთითოს ,,2023 წლის 27 მარტიდან 2023 წლის 12 აპრილის ჩათვლით" და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

> ,,2. კონკურსანტთა განცხადებები და დოკუმენტაცია (ჩამონათვალი წინამდებარე ბრძანების N1 დანართში) წარმოდგენილი იქნეს ელექტრონულად, 2023 წლის 27 მარტიდან 12 აპრილის ჩათვლით, 10:00 სთ–დან 17:00 სთ–მდე პერიოდში, ბსუ–ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) ელექტრონულ ფოსტაზე (chancellery@bsu.edu.ge)."

2. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოცემისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში